# ჰიპერტენზიის მსოფლიო დღე

## 2006 წლის 13 მაისი

სამახსოვრო მომზადებულია საქართველოს ჰიპერტონიის შემსწავლელი საზოგადოების მიერ

ავტორები ბეჟან წინამძღვრიშვილი
დალი ტრაპაიძე
ვაჟა აგლაძე

სამახსოვრო დაიბეჭდა ფარმაცევტული კომპანიების მხარდამჭერით

MSD EGIS

საქართველოს
ჰიპერტონიის საზოგადოება

## ებრძოლეთ მაღალ წნევას ექიმთან ერთად



მაღალი არტერიული წნევა ავადობის, ინვალიდობისა და სიკვდილობის ყველაზე უფრო გავრცელებული მიზეზია დედამიწის ზურგზე. იმისათვის რომ წარმატებით ვებრძოლოთ მას, საჭიროა:

### 1. ექიმთან მისვლა - თანამშრომლობის დასაწყისი

- მიაკითხეთ ექიმს, რათა მან დაგისვათ დიაგნოზი, რჩევა-დარიგებით შეგაიარაღოთ და თუ საჭიროა წამალიც მანვე (და არა მეზობელმა, ნათესავმა ან ნაცნობმა) დაგინიშნოთ. **ექიმი, უთუოდ გირჩევთ ცხოვრების ჯანსაღი წესის დაცვას.**

### 2. თანამშრომლობის გაგრძელება

- მაღალი წნევის მოწესრიგება ხშირად იოლად არ ხდება. ეს საქმე ექიმმა უნდა ითავოს თქვენი დახმარებით, დახმარება კი მისი რჩევების შესრულებაში (წნევის გასინჯვა, წამლის დროულად მიღება, რეჟიმის დაცვა) გამოიხატება. - ექიმთან მუდმივად ითანამშრომლეთ, წამლის დოზის შესაცვლელად ისევ ექიმს (და არა ნათესავსა და მეზობელს) მიაკითხეთ.

### 3. წნევა მოგიწესრიგდათ - თქვენი თანამშრომლობა ექიმთან აუცილებლად გრძელდება

- წნევის ნორმალური ციფრები არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს განკურნებას და მკურნალობის შეწყვეტას.
- ექიმის რჩევის გარეშე წამლის მიღების შეწყვეტა კატეგორიულად არ შეიძლება, ეს ბევრად მძიმე გართულების მიზეზი შეიძლება გახდეს.
- მკურნალობის ეფექტურობა პირდაპირ არის დაკავშირებული მკურნალობის ხანგრძლივ უწყვეტ რეჟიმთან, ექიმთან მუდმივი პარტნიორული ურთიერთობით.

ნუ იქნებით თქვენი თავის მტერი, დაუჯერეთ ექიმს და ითანამშრომლეთ მასთან.

**ექიმთან ერთად - ხანგრძლივი ჯანმრთელი სიცოცხლისაკენ!**

2006 წელი